ხელშეკრულება №91
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
(საქონლის შესყიდვა)

15 სექტემბერი 2014 წელი

ქ. ხაშური

ერთის მხრივ, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ა(ა)იპ „ხაშურსერვისი" (შემდგომში შემსყიდველი), მისი წარმომადგენელი დირექტორი ნუგზარი ცხოვრებაძის სახით და მეორეს მხრივ, შპს „KNK კუნა" (შემდგომში მიმწოდებელი),მისი წარმომადგენელი გია კილაძე ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით კომპიუტერული მოწყობილობებისა და აქსესუარების შესყიდვა (CPV-302 00000-კომპიუტერული მოწყობილობები და მარაგები). წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ერთეულად ფასებში.

2.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 150(ასხუთმოცდათი) ლარს.

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

3.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ ხაზინიდან უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

5. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

5.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ერთეულად ფასებში.

5.2 შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველს უფლება აქვს:
- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია:
- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

6.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:
- მოთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

7.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

7.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

7.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

7.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,5%-ის ოდენობით.

8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

8.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2014 წლის 31 დეკემბრამდე.

9. ხელშეკრულების პირობების გადახედვის შესაძლებლობა

9.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება

ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. ფორს-მაჟორი

10.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია იმგვარი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ იმგვარი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

10.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

10.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარს.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

11.2. შეთანხმების მიუღწეველობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ინსპექტირების პირობები

12.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

12.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ა(ა) იპ „ხაშურსერვისი" წარმომადგენელი.

12.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

12.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13. სხვა პირობები

13.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთის მიყენებული ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13.2. არცერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

13.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

13.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმოწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

13.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

14. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები:

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
ა (ა) იპ „ხაშურსერვისი"	მ.პ.ს „KNK კაენკა"
მისამართი: ქ. ხაშური, კოსტავას ქ. №7	მისამართი: ქ. ხაშური, რუსთაველის ქ. 25
ს.ს. „ლიბერთი ბანკის" ხაშურის ფილიალი	ს.ს. „ლიბერთი ბანკი"
ბანკის კოდი: **LBRTGE22**	კოდი: **LBRTGE22**
ა/ა №GE54LB0115149214224000	ა/ა GE09LB0113122015325000
ს/კოდი 443856908	ს/ნ-443858336
დირექტორი: /ბ.ხუციშვილი/	დირექტორი: /გ.კილაძე/